

**Avtandil Nikoleishvili**

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

*Akaki Tsereteli State University*

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

*Georgia, Kutaisi*

საქართველო, ქუთაისი

## **Grigol Robakidze on Russian-Georgian Relations**

**გრიგოლ რობაქიძე**

**რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ**

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10935>

Grigol Robakidze (1880-1962) made a particularly significant contribution to the expression of his standpoint on the assessment of the problems related to the relations between Russia and Georgia in two main directions: he critically presented the imperialist policy pursued by the Russian authorities towards Georgia; On the other hand, he uncompromisingly exposed the russifying governance policy of the rulers of the Russian Empire aimed at destroying the national individuality of the Georgian nation and all non-Russian ethnic groups within its state. Grigol Robakidze's critical attitude towards Russia was most evident in the letters written during the restoration of Georgia's state independence.

**Keywords:** imperialist policy, Russian Empire, national individuality, Georgian nation

**საკვანძო სიტყვები:** იმპერიალისტური პოლიტიკა, რუსეთის იმპერია, ეროვნული ინდივიდუალობა, ქართველი ერი

როგორც გრიგოლ რობაქიძის (1880-1962 წწ.) მხატვრული და პუბლიცისტური ნააზრევიდან თვალნათლივ ჩანს, რუსეთსა და საქართველოს შორის არსებულ ურთიერთობასთან დაკავშირებულ პრობლემათა განსჯა და შეფასება მისი შემოქმედების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენდა. აღნიშნული საკითხებისადმი გამოვლენილ ინტერესს მწერლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყველა ეტაპზე, მათ შორის ემიგრანტობის პერიოდშიც, საკმაოდ დიდი მასშტაბები რომ ჰქონდა შეძენილი, ეს თვალნათლივ ჩანს მისი მხატვრული ნააზრევიდანაც, პუბლიცისტური დანაც და ეპისტოლარული მემკვიდრეობიდანაც.

აღნიშნული პუბლიკაციები პირობითად ორ ნაწილად შეიძლება გავყოთ: ერთის მხრივ, რუსეთის ხელისუფლების მესვეურთა კოლონიური პოლიტიკისა და ამ პოლიტიკის გამტარებელთა მიმართ გამოვლენილი მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულების გამომხატველ ტექსტებად და, მეორეს მხრივ, პროგრესულად მოაზროვნე რუს მწერლებთან და სწავლულებთან თანამოაზრობის წარმომჩენ, მათ ცალკეულ წარმომადგენლებთან კი ახლო პიროვნული ურთიერთობის დამადასტურებელ პუბლიკაციებად.

რუსეთთან დამოკიდებულების გამოხატვას გრ. რობაქიძემ დიდი მასშტაბები პირველ ყოვლისა იმით შესძინა, რომ კრიტიკული თვალთახედვით წარმოაჩინა რუს ხელისუფალთა მმართველობითი პოლიტიკა, რომლის უმთავრესი მიზანიც იყო ქართველთა და მათ სახელმწიფოში მცხოვრებ სხვა არარუს ხალხთა რუსიფიკაცია.

ყოველივე ზემოთქმულის ნათელსაყოფად, ქვემოთ შევეცდები ყურადღება ამაჯერად გრ. რობაქიძის პუბლიცისტური და ეპისტოლარული მემკვიდრეობის იმ ნიმუშებს მივაპყრო, რომელ-

თა მეშვეობითაც თვალნათლივ წარმოჩინდება ზემოთ ნახსენებ მოვლენათა მისეული ინტერპრეტირების უმთავრესი მხარეები.

ერთ-ერთი პირველი წერილი, რომლითაც მწერალმა მკაფიოდ განსაზღვრული სახით გამოხატა რუსეთთან დაკავშირებული მისეული თვალთახედვა, არჩილ ჯორჯაძისთვის 1911 წლის 11 იანვარს გაგზავნილი ბარათი იყო, სადაც იგი თავის უფროს მეგობარს გარკვევით წერდა: „საქართველოს ბედ-იღბალი მათ (რუს მწერლებს – ა. ნ.) ისე არ აინტერესებთ, როგორც მარსის მცხოვრებნი. სხვათა შორის, ახალგაზრდა ქართველის ტრაგედია ამაშიცაა“. როგორც აკაკი ბაქრაძე ხსენებული ბარათისთვის დართულ კომენტარში აღნიშნავს, დამოწმებულ ფრაგმენტში რუსეთთან დაკავშირებით გამოთქმული ამ მოსაზრებით გრ. რობაქიძემ არა მარტო რუსული მხარის წარმომადგენელთა ანტიქართული თვალთახედვა შეაფასა ნეგატიურად, არამედ იმდროინდელი ჩვენი ახალგაზრდა თაობის გარკვეული ნაწილის პრორუსული პოზიციაც.

აღნიშნული ტენდენცია იმითაც გამოვლინდა, რომ სამოღვაწეო ასპარეზზე იმხანად გამოსულ ქართველ მწერალთა ცალკეული წარმომადგენლები, მათ შორის თავად გრ. რობაქიძეც, დროდადრო რუსულ ენაზეც წერდნენ ნაწარმოებებს. მათ შემოქმედებაში მეტ-ნაკლები მასშტაბებით წარმოჩენილი ამ ტენდენციისადმი მძაფრად კრიტიკული დამოკიდებულება მაშინ არაერთმა მწერალმა გამოხატა. მაგალითად, „1922 წელს „ლომისის“ მეექვსე ნომერში გამოქვეყნებულ სტატიამ – „ჩვენი კულტურ-პოლიტიკა“ კონსტანტინე გამსახურდიამ ამ მწერლებს გარუსებულ პიროვნებებად თვლიდა და აღნიშნავდა, რომ ისინი ქართულ კულტურას ფასეულსა და მნიშვნელოვანს ვერაფერს შესძენდნენ.

გრიგოლ რობაქიძე ძალიან გააღიზიანა კონსტანტინე გამსახურდიას ამ წერილმა და საპასუხო ბარათი მაშინვე გაუგზავნა მწერალთა კავშირის იმდროინდელ ხელმძღვანელს კოტე მაყაშვილს. „ძვირფასო კოტე! – წერდა იგი ქართველ მწერალთა თავკაცს, – „ლომისის“ მეექვსე ნომერში ჩემი სახელი ცუდად არის ნახსენები. წერილის ავტორს მე არ ვუპასუხებ. მას არც ისეთი რამ დაუწერია ან უთქვამს საერთოდ, რაც „მეტად“ მისაღებია ქართული შემოქმედების დარგში.“ კ. გამსახურდიას ხსენებული წერილისა და, საერთოდ, მისი შემოქმედების ამგვარი შეფასების შემდეგ კი იგი საკუთარ მხატვრულ ნააზრევს, ქართულად დაწერილსაც და რუსულადაც, ყოველგვარი მოკრძალების გარეშე განადიდებდა.

როგორც წინამდებარე ნარკვევში გრ. რობაქიძის შემოქმედებიდან ჩემ მიერ დამოწმებული ფრაგმენტებიდანაც ჩანს, რუსეთისადმი მისი დამოკიდებულება რამდენადმე გაორებულიცაა და გარკვეულწილად წინააღმდეგობრივიც. კერძოდ, ერთის მხრივ, თუ იგი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში პრინციპულად უპირისპირდებოდა საქართველოს მიმართ რუსეთის ხელისუფალთა მიერ გატარებულ რუსიფიკატორულ პოლიტიკას, მეორეს მხრივ, უდრმეს პატივისცემას გამოხატავდა რუს მწერალთა და მოაზროვნეთა ცალკეული წარმომადგენლების პროგრესული ნააზრევისადმი.

რუსეთისადმი, როგორც ჩვენი ქვეყნის აგრესორი სახელმწიფოსადმი, გრ. რობაქიძის კრიტიკული დამოკიდებულება ყველაზე მეტად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში დაწერილ წერილებში გამოვლინდა. კერძოდ, იმდროინდელ სტატიებში მან არა მარტო თავისი პროევროპული თვალთახედვა გამოხატა საკმაოდ მკვეთრი ფორმით, არამედ რუსული კოლონიური პოლიტიკაც ამხილა.

მაგალითად, გაზეთ „საქართველოს“ 1917 წლის 232-ე და 233-ე ნომერებში დაბეჭდილ წერილში – „რუსეთის ტრაგედია“ გრ. რობაქიძე რუსეთს „საშინელს უცნაურობას“ უწოდებდა და აღნიშნავდა, რომ გარესამყაროსთან ცივილიზებული ურთიერთობის დამყარებას რუსეთი იმ შემთხვევაში შეძლებდა, თუ ამ სახელმწიფოს არა მარტო მესვეურები, არამედ საზოგადოების დიდი ნაწილიც, მოახერხებდა მათ ცნობიერებაში აღნიშნული მიმართულებით დამკვიდრებულ მანკიერებათა დაძლევას.

რუსეთის იმპერიაში მიმდინარე მოვლენებით გრ. რობაქიძის დაინტერესებას არსებითად განაპირობებდა ის გარემოება, რომ შექმნილი რეალობა საქართველოს მომავალსაც განსაზღვრავდა არსებითად. ამ თვალსაზრისით უადრესად საინტერესოა გაზეთ „საქართველოში“ 1917 წლის 27

ნომბერს (№237) გივი გოლლენდის ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილი – „ბოლშევიკების აჯანყება“. კერძოდ, გრ. რობაქიძის აზრით, იმდროინდელ რუსეთში მიმდინარე მოვლენები რეალურ საფუძველს ქმნიდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად.

რუსეთთან გრიგოლ რობაქიძის დამოკიდებულების არსში გასარკვევად განსაკუთრებული მნიშვნელობა მის ეპისტოლარულ მემკვიდრეობასაც უნდა მივანიჭოთ. აღნიშნული თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა კალისტრატე სალიასათვის გაგზავნილი წერილები. იმისდა მიუხედავად, რომ კალისტრატე სალიასთან და მის მეუღლესთან გრიგოლ რობაქიძის ურთიერთობა ჯერ-ჯერობით საფუძვლიანად შესწავლილი არ არის, დღეისათვის ხელმისაწვდომი მასალებითაც თვალნათლივ ჩანს უადრესად მნიშვნელოვანი ის როლი, რომელიც მათ აქვთ შესრულებული მწერლის ცხოვრებაში. გრ. რობაქიძის მიერ კ. სალიასათვის გაგზავნილი წერილებიდან განსაკუთრებული ყურადღება ამჯერად იმ ეპისტოლეებს მივნიჭებთ, რომლებშიც იგი რუსეთსა და საქართველოს შორის ისტორიულად და იმხანად არსებულ ურთიერთობებს აფასებდა.

რაგინდ მოულოდნელიც არ უნდა გვეჩვენოს, ამ პრობლემის გააზრების დროს გრ. რობაქიძის თვალთახედვა რამდენადმე გაორებულიცაა და გარკვეულწილად წინააღმდეგობრივიც. კერძოდ, მისი ზოგიერთი ბარათის მიხედვით, მწერალი იმ ქართველ მოღვაწეთა თვალსაზრისს იზიარებდა, რომელნიც ე. წ. „ორი რუსეთის“ არსებობას ამტკიცებდნენ და რუსეთთან ჩვენი ქვეყნის შეერთებას ერეკლე მეფის „ძირეულად შორსმჭვრეტი გენიის“ (გრ. რობაქიძის სიტყვებია) მიერ მიღებულ მართებულ გადაწყვეტილებად მიიჩნევდნენ.

მაგალითად, აი, რას წერდა იგი კ. სალიას 1953 წლის 13 თებერვალს ამ პრობლემასთან დაკავშირებით: „თითქმის ყოველს თქვენს წერილში ნახმარია „რუსსოფილი“ – „რუსსოფილური“ უარყოფითი მნიშვნელობით... სანამ ეს ტერმინი „რუსსოფილი“ – „რუსსოფილური“ არ ამოვარდება ქართული პოლიტიკური სიტყვართგან, მანამდე ქართველობა ვერ ჩაწვდება პრობლემას „**საქართველო-რუსეთი**“. საქართველოს ხელმწიფობა გააუქმა **იმპერატორების რუსეთმა** და არა რუსეთის ხალხმა – „**ხალხის**“ **ქვეშ აქ არ ვგულისხმობ უფესვო ინტელიგენციას, რომელსაც დღემდე ვერ გაუგია „ბედი რუსისა**“. სამწუხაროდ, ქართველებს ვერ განუხილავთ **ძირეულად (ხაზგასმები ავტორისაა – ა. ნ.) შორს მჭვრეტი გენია** მეფე ერეკლესი: მისი ნაბიჯი რუსეთთან შეერთებისათვის“ (რობაქიძე, 2012ა, გვ. 133).

ხოლო 1953 წლის 16 თებერვალს გაგზავნილ წერილში კ. სალიას კატეგორიულად უმტკიცებდა: „მწერთ: „არც ერთი რეჟიმი რუსეთისა ჩვენ არ დაგვინდობს“. მონახოს კრებამ თუ გინდ ერთი სიტყვა ჩემს წერილში, რომლითგანაც სჩანდეს, რომ ჩვენ „რუსეთის რეჟიმის“ ქვეშ უნდა მოვხვდეთ. ერთს სიტყვასაც ვერ მონახავს ასეთს“ (რობაქიძე, 2012ა, გვ. 136).

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებისადმი გრ. რობაქიძის დამოკიდებულების გააზრების დროს აქ კ. სალიასათვის გაგზავნილი იმ წერილის ფრაგმენტიც მივნიჭებთ, სადაც მწერალი საბჭოთა რუსეთის მიერ 1921 წლის თებერვალში ჩვენი ქვეყნის დაპყრობის ფაქტს აფასებდა. „მწერთ: „საქართველო 1921 წელს რუსის ჯარმა დაიპყრო“. ამ ფორმულას ვერ მივიღებ. ეს რომ მივიღო, მაშინ უნდა „ხარაკირი“ გავუკეთო ჩემს წიგნს „Die gemordete Seele,“ საცა პირველი გამოცემის წინასიტყვაში ნათქვამია გარკვევით, რომ **ბოლშევიზმი არ არის მართო რუსული მოვლენა...** ჩემი ფორმულა ესაა, ფორმულა უკანასკნელად მხვედრი: „**საქართველო დაიპყრეს 1921 წელს ბოლშევიკებმა რუსეთითგან**“ (ხაზგასმები ავტორისაა – ა. ნ.) (რობაქიძე, 2012ა, გვ. 269).

გარდა დამოწმებული ბარათებისა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობასთან დაკავშირებულ საკითხებს გრიგოლ რობაქიძე 1953 წლის 5 მაისს კალისტრატე სალიას მეუღლისთვის გაგზავნილ წერილშიც შეეხო და „რუსებისადმი კალესებური მიდგომა“ (მწერლის სიტყვებია) არსებითად მცდარ თვალსაზრისად იმიტომაც მიიჩნია, რომ „ასეთი მიდგომა დამღუპველი იყო საქართველოსთვის.“

გრ. რობაქიძის ხაზგასმით, პირადად მისთვის პრინციპულად მიუღებელი ამგვარი პოზიციის გამო მას „თვითონ **თეთრი გიორგი, ჩვენი ხრმალის სინათლე**, დაჰგმობდა; დავით აღმაშენებელი, აგრეთვე მეფე ერეკლე, რომელთა ხელ-მწიფება ამ ხრმალის სინათლით მტკიცდებოდა, არ დაუშვებდნენ და ვერც დაუშვებდნენ კალესებურ გეზს ხსენებულ საკითხში“ (რობაქიძე, 2012ა, გვ. 272).

გრ. რობაქიძის ხაზგასმით, მიუხედავად იმისა, რომ მის ამგვარ მოსაზრებებს „რუსსოფილობასთან“ „საერთო არაფერი“ ჰქონდა, ვფიქრობ, დამოწმებული ფრაგმენტებიდან გარკვეულწილად მართლაც ჩანს, ამგვარი მოსაზრებების დაფიქსირებით მათი ავტორი რამდენადმე ტენდენციურად რომ აფასებდა რუსეთის „მფარველ“ როლს ჩვენი ქვეყნისადმი.

ისტორიამ განგვსაჯოს, ამ დავაში ვინ არის მართალიო, – გაცხარებით ამბობს ის. თუმცა, ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველოს ისტორიაში ამ დროის კიდევ ერთხელ დადგომას არც ამჯერად დაგვიანებია – დამოწმებული სტრიქონების დაწერიდან სამი წელიც არ იყო გასული, რომ საბჭოთა კავშირად სახელდებული რუსული იმპერიის უმაღლეს ხელისუფალთა ბრძანებით, 1956 წლის 9 მარტს თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში ათასობით ქართველი პატრიოტის სისხლი მხოლოდ იმიტომ დაიდვარა, რომ ისინი სტალინის სახელთან ასოცირებულ ჩვენს ეროვნულ ღირსებასა და პატრიოტულ ინტერესებს იცავდნენ რუსული აგრესიისაგან.

ჩემი აზრით, სულაც არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ რუსეთისადმი გრ. რობაქიძის მეტ-ნაკლებად ტენდენციური დამოკიდებულება მნიშვნელოვანწილად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ მისი სამივე მეუღლე ეროვნებით რუსი იყო. ამგვარი მოსაზრების გამოთქმის საფუძველს ის მიმოწერაც მამლევს, რომელიც მწერალს კ. სალიასთან, როგორც ჟურნალ „ბედი ქართლისას“ რედაქტორთან, ჰქონდა ერთ-ერთი მათგანის – ელენე (ლენა) ფიალკინას (1900-1957 წწ.) ნოველის ქართული თარგმანის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

როგორც ცნობილია, ქალბატონი ელენე მწერალი იყო, კერძოდ, პროზაიკოსი. იგი საქართველოში 1920 წელს ჩამოსულა საცხოვრებლად, 1922 წელს გრიგოლზე დაქორწინებულა და ამ დროიდან მოყოლებული 1931 წლამდე ჩვენს ქვეყანაში უცხოვრია, 1931 წელს კი მეუღლესთან ერთად ემიგრაციაში წასულა საცხოვრებლად.

გრ. რობაქიძემ თავისი მეუღლის ერთ-ერთი ნოველა – „ნიანია“ („გადია“) 1953 წელს ქართულად თარგმნა და „ბედი ქართლისაში“ დასაბეჭდად გაუგზავნა კ. სალიას. მწერლის შეფასებით, ხსენებული ნოველა, რომელიც „შედევრია და სცილდება ეთნიურ საზღვრებს“, „ჩვენი ჟურნალისთვისაც ძალიან მიზანშეწონილი იქნებოდა,“ რადგანაც მასში „ულრმესად არის გამოხატული სამშობლოს წიაღი“ (რობაქიძე, 2012ა, გვ. 141).

მაგრამ კ. სალიამ ნოველის დაბეჭდვისაგან პრინციპულად შეიკავა თავი, რადგანაც ქართულ ჟურნალში მისი იმ დროს გამოქვეყნება, როცა „ქართულ-რუსულ ბრძოლაში ნამდვილი ცეცხლი იყო გაჩენილი“, ფაქტობრივად, „ატომის ბომბის გახეთქვა იქნებოდა“ (რობაქიძე, 2012ა, გვ. 273).

გრ. რობაქიძის განცხადებით, ხსენებული ნოველის ამგვარი შეფასება მცდარ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა და ამ მდგომარეობიდან გამოსავლის მოსაძებნად კ. სალიას ასეთი კომპრომისული წინადადება შესთავაზა: „გაუგზავნეთ მიხეილს (მიხაკო წერეთელს – ა. ნ.) ჩემი ბარათი, ქ-ნ ნინოსადმი (იგულისხმება კ. სალიას მეუღლე – ა. ნ.) მიმართული. მიაყოლეთ თანვე ჩემი უკანასკნელი ბარათი თქვენდამი (და ეს ბარათიც). აქ ყოველი მხრითაა საკითხი განხილული. დავეუცადოთ, რა სიტყვის – ჩემთვის მისი სიტყვა უაღრესად გულხმიერია ყოველთვის, თუმცა ესეც უნდა დავუმატო, არა გადამწყვეტი“ (რობაქიძე, 2012ა, გვ. 144).

მწერალი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თავადაც შეეხმიანა მიხეილ (მიხაკო) წერეთელს 1953 წლის 15 მაისს გაგზავნილი წერილით და თხოვა, იმის გასარკვევად, ვის მხარეზე იყო სიმართლე, მიუკერძოებლად ჩართულიყო აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სალიასთან გამართულ პაექრობაში.

ხსენებული წერილის ადრესატს გრ. რობაქიძე იმასაც აუწყებდა, რომ იგი პრინციპულად არ იზიარებდა „ბედი ქართლისაში“ ხსენებული ნოველის გამოქვეყნებისაგან კ. სალიას მიერ თავის შეკავების განმაპირობებელ ფაქტორად იმ გარემოების მიჩნევას, ეს პუბლიკაცია ჟურნალის გამომცემლთა პრორუსული პოზიციის გამოხატულებად რომ შეიძლებოდა ყოფილიყო აღქმული.

მიხაკო წერეთლის იმაში დასარწმუნებლად, თავისი მეუღლის ნოველაში ისეთი არაფერი რომ არ ხდებოდა, რის გამოც „ბედი ქართლისაში“ მისი გამოქვეყნებისათვის ამ ჟურნალის რედაქტორ-გამომცემელს პრორუსულ თვალთახედვაში დასდებდნენ ბრალს, გრიგოლ რობაქიძე მას ამ ნაწარმოების მოკლე შინაარსსაც უყვება.

ნოველაში მოთხრობილ ამბავზე ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს ხსენებული წერილიდან: რუსეთიდან გერმანიაში გადახვეწილი რუსი ცოლ-ქმარი შვილებთან ერთად ამერიკაში გემით მიემგზავრება, მათ რუს ძიძას კი იქ ტოვებენ. მარტო დარჩენილი ძიძა მათ ლოდინში სიცოცხლეს ტანჯვაში ატარებს. სამშობლოს მოწყვეტილი ძიძის წარმოსახვაში მძაფრად იღვიძებს მშობლიური მიწის სიყვარული. ასეთ მდგომარეობაში მყოფ ქალს ამჯერად იქაური ოჯახი აიყვანს გოგონას მომვლელად. „გოგონასა და გადიას შორის უნაზესი კავშირი მყარდება... გადია გოგონას უყვება ზღაპრებს... გადიასთვის ეს „გართობა“ – გარნა შიგა-და-შიგ უფსკერო ნაღველი იპყრობს. გოგონას ვერ გაუგია ეს. გადია ამოიხრებს. „Земля, земля!“ გოგონა ეკითხება გაცეპული: აქაც ხომ არის „მიწა?!“ „არა, არა,“ ეუბნება გადია, „იქ, იქ, რუსეთში სულ სხვა მიწაა...“ გადის ხანი. გადია ლოგინადაა დავარდნილი და ლოცვად გადაქცეული. სულს დაფავს. შემოვარდება გოგონა: „Няня! ის მიწა მოგიტანე! ეუბნება აკიაფებული სულთ-მობრძავს. გადიამ სული განუტევა“.

გრ. რობაქიძის თქმით, ასეთი იყო „ჩონჩხი“ იმ ნოველისა, რომლის წაკითხვაც უცრემლოდ წარმოუდგენელია. უფრო მეტიც, მწერლის ხაზგასმით, მას მთელს ევროპულ ლიტერატურაშიც კი „არ ეგულვება ისეთი ნაწარმოები, საცა ასე მძაფრად იყოს გადმოცემული სიმწვავე მშობელი მიწის დაკარგვისა“.

„ბედი ქართლისაში“ ნოველის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით შექმნილი ბარიერის დასაძლევად გრიგოლ რობაქიძეს კალისტრატე სალიასთვის შეუთავაზებია, პუბლიკაციისთვის ასეთი შენიშვნა წარემძღვარებინა: „დღეს ქართველთ-რუსთა ურთიერთობა ისეა გამწვავებული, რომ ასეთი წმინდა-რუსული ნაწერის... ქართულ ჟურნალში მოთავსება „ბ. ქ.“-ს რედაქციამ არ სცნო მიზანშეწონილად. ჩვენ მაინც ვათავსებთ მას... ასეთი შენიშვნა სარიდი იქნებოდა: ჟურნალი აიცილებდა იმ მოღანდებულ „ავტოყუმბარას.“ მე“ მე ასეთი ყუმბარა სასაცილოდაც არ მყოფნის“.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, კალისტრატე სალიასა და მიხაკო წერეთელს გრიგოლ რობაქიძის თვალსაზრისი არ გაუზიარებიათ და მწერლისთვის დაბეჯითებით ურჩევიათ, საქართველოსა და რუსეთს შორის არსებული ურთიერთობებიდან გამომდინარე, პრინციპულად შეეკავებინა თავი ხსენებული ნოველის გამოქვეყნებისგან. ყოველივე ზემოთქმულის ნათელსაყოფად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს ზემოთ განხილული ბარათის საპასუხოდ კ. სალიას მიერ გრ. რობაქიძისათვის გაგზავნილი წერილიდან.

„მვირფასო ბატონო გრიგოლ! სრულიად არ მესმის, რისთვის სჭირდება ქ-ნ ელენეს თვისი ნაწარმოების ქართულ გაზეთში მოთავსება? იტყვიან, დიდი ქართველის ცოლია, მაგრამ ქართული არაფერი მიჰკარებია, რუსის პატრიოტი დარჩენილაო.. თქვენი უმცროსი მეგობარი სულით და გულით რჩევას გაძლევთ გაუწიოთ ანგარიში ამ სულისკვეთებას“.

გრიგოლ რობაქიძემ ამ საკითხთან დაკავშირებით გამართულ პოლემიკაში კალისტრატე სალიას მეუღლეს ჩართო. კერძოდ, 1953 წლის 5 მაისს გაგზავნილ წერილში ქალბატონ ნინოს მან დეტალურად გააცნო მის მეუღლესთან გამართული პოლემიკის უმთავრესი დეტალები. თავად მწერლისეული აღიარებით, კალისტრატესთან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამართული მისი პოლემიკა ცალკეულ შემთხვევაში იმდენად მძაფრ ფორმასაც კი იღებდა, რომ იგი მოგვიანებით ბოდიშსაც იხდიდა ადრესატის მიმართ გამოვლენილი მეტისმეტი სიფიცხის გამო.

ნათქვამისთვის მეტი სიცხადის მისაცემად დავიმოწმებ ფრაგმენტებს ნინო სალიასთვის გაგზავნილი წერილიდან: „კალესთან დავა მაქვს რუსეთის საკითხის ირგვლივ, შიგა-და-შიგ ცხარი. ვუმტკიცებ: „სამოდერწავიე“ ერთია, რუსი ხალხი სხვა, რუსთა უფესვო ინტელიგენცია კიდევ სხვა. კალე არ მეთანხმება.“

ჟენევაში, მწერალთან კალისტრატესა და მისი ცოლის სტუმრობის დროს, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამართული კამათის დროს გრიგოლი იმდენად გაცხარებულა, რომ მისივე თქმით, „გაოცება გახელდება ქცევია“ და კალისტრატესთვის „ყვირილითა და მაგიდაზე მუშტის დარტყმით“ შეუტევია. ასეთი რამ ჩემს სიცოცხლეში არ დამმართნიაო, – წერს კალისტრატეს მეუღლეს სინანულით და თავის ამგვარ ქმედებას ასეთ შეფასებას აძლევს: „სტუმართმოყვარეობა უმზავსოდ შევსვარე... მოვიხადე ბოდიში კალეს წინაშე. ამ ბოდიშს ვიხდი ეხლაც“.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა გრიგოლ რობაქიძისეული შეფასების გაანალიზების დროს რამდენიმე სიტყვა კალისტრატე სალიას მიერ მისგან აღებულ ინტერვიუზეც მინდა ვთქვა („ბედი ქართლისა,“ 1953 წ., №14). ამ ინტერვიუს მეშვეობით მწერალმა კიდევ ერთხელ განმარტა რუსეთისადმი რამდენადმე გაორებული თავისი დამოკიდებულების განმსაზღვრელი ორი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. სახელდობრ, მისი ინტერპრეტირებით, განსხვავებით რუსი ხალხისაგან, რომლის „ღვთიური მრავალსახეობა“ და „გენიის ძლიერება ცხადდება: რწმენაში, ლიტერატურაში, მუსიკაში, სიმღერაში, გალობაში, თეატრში, ბალეტში,“ რუსეთის მეფეებს „არ გააჩნდათ ნიჭი არც რომაელთა და არც ბრიტანელთა. აბა, მითხარით, – მიმართავს მწერალი ინტერვიუერს, – რომელ რომაელს ან რომელ ბრიტანელს მოუვიდოდა აზრად ეს უაზრობა: ეთნიური გადაგვარება იმპერიაში მოქცეულ ხალხთა? რუსეთის იმპერატორების პოლიტიკა კი რუსსიფიკაციის ხაზით იყო მიმართული. შექმნა ამ პოლიტიკამ იმპერია? უთუოდ – გარნა ერთი განსაზღვრით: იმპერიული განვრცობა აქ სიმსივნედ იქცა“ (რობაქიძე, 2012ბ, გვ. 373).

რუსეთის ხელისუფლების მესვეურთა მმართველობითი პოლიტიკის ამგვარი ზოგადი შეფასების შემდეგ გრ. რობაქიძე საქართველოსადმი მათ დამოკიდებულებასაც აკრიტიკებს და აღნიშნავს, რომ „რუსეთის იმპერატორებს მეფე ერეკლე მეორის შორსჭვრეტა არ აღმოაჩნდათ: მათ უღალატეს საქართველოს.“

როგორც გრ. რობაქიძისა და კ. სალიას მიმოწერიდანაც თვალნათლივ ჩანს, რუსეთისადმი მწერლის რამდენადმე გაორებული დამოკიდებულება რუს მოაზროვნეთა ცალკეული წარმომადგენლების ანტიიმპერიული შეხედულებებითაც იყო განპირობებული. თუმცა ყოველივე ზემოთქმული სულაც არ იძლევა საფუძველს იმის სათქმელად, თითქოს იგი საქართველოს სახელმწიფოებრივ მომავალს რუსული იმპერიის შემადგენლობაში რაიმე ფორმით ყოფნას უჭერდა მხარს.

მაგალითად, ნოე ჟორდანიას ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ღვაწლის წარმომჩენ ესეში (1920 წ.) გრ. რობაქიძე ამ პიროვნების უმთავრეს დამსახურებად იმას მიიჩნევდა, რომ საქართველოს ხსნისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ დამკვიდრების ერთადერთ გარანტიად იგი ევროპული სამყაროსაგან მის განუყოფელ ნაწილად არსებობას მიიჩნევდა.

რუსეთთან გრიგოლ რობაქიძის დამოკიდებულების წარმოჩენის დროს ერთი საგულისხმო ტენდენციაც იკვეთება მეტ-ნაკლები სიცხადით: მიუხედავად ამ ქვეყნის მესვეურთა იმპერიული პოლიტიკისადმი მკვეთრად ნეგატიური დამოკიდებულებისა, რუს მწერალთა და მოაზროვნეთა არაერთი წარმომადგენლის პროგრესული იდეებით ის იმდენადაც კი იყო მოხიბლული, რომ ზოგიერთ მათგანთან ახლო პიროვნული ურთიერთობაც ჰქონდა დამყარებული. მაგალითად, რუსეთში 1917 წელს განვითარებული იმ მოვლენების შემდეგ, რამაც რეალური საფუძველი შექმნა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღსადგენად, გრ. რობაქიძე რუს ინტელექტუალთა გარკვეულ ნაწილთან კვლავაც ინარჩუნებდა ადრინდელ დამოკიდებულებას.

1917-1921 წლებში გამოქვეყნებულ იმ წერილებს შორის, რომლებშიც ყველაზე მეტად გამოვლინდა გრ. რობაქიძის ანტირუსული თვალთახედვა, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს 1918 წელს დაბეჭდილი სტატია „რუსეთის დაღუპვა.“ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ საქართველოს არსებობის პერსპექტივა ხსენებულ პუბლიკაციაში მწერალმა არა მარტო ამ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან მიმართებით შეაფასა, არამედ მსოფლიოში არსებული რეალობის გათვალისწინებითაც.

კერძოდ, გრ. რობაქიძემ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკების მოსვლის შედეგად „რუსეთი, როგორც ახრახა სახელმწიფო, საცა სხვა და სხვა ერნი ძალადობით იყვნენ მოქცეულნი, უსათუოდ უნდა დაღუპულიყო. ამ დაღუპვისათვის საჭირო იყო რუსეთის მსოფლიო ომში ჩარევა, ომში გამოაშკარავება მისი უძლურებისა, სისხლიანი რევოლუცია და ბოლოს უკანასკნელის ანარქიად გაქანება ბოლშევიკების მიერ. ბოლშევიკები ამსრულებელნი არიან რუსეთის თავზე ისტორიული ნემეზიდის სასტიკი ნების... რუსეთის სახელმწიფო უნდა დამხოვილიყო და დაემხო კიდევ“.

გრ. რობაქიძე ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენის პოზიტიურ შედეგად მიიჩნევდა იმას, რომ საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფოებრივ სივრცეში მოქცეულ სხვა ხალხებს ამ მოვლენის შედეგად რეალური შესაძლებლობა მიეცათ იმისა, „რუსეთის სახელმწიფოს ნანგრევებზე სხვა

ხელმწიფობას რომ აღემატათა თავისი ძალა.“ ასე რომ, მწერლის ხაზგასმით, ეს მოვლენა რეალურ საფუძველს ქმნიდა საიმისოდ, „რუსეთის სახელმწიფოს ნანგრევებზე სხვა ხელმწიფებას“ რომ „აღე-მართა თავისი ძალა.“ აქედან გამომდინარე, ამ იმპერიის სახელმწიფოებრივ სივრცეში მყოფი ერები აქტიურად „შეეცდებოდნენ საკუთარი ხელმწიფების დამყარებას“. როგორც გლობალურ მოვლენათა იმდროინდელი განვითარებით დადასტურდა, რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე მაშინ, თუმცა ხანმოკლე დროით, მაგრამ მაინც, მართლაც შეიქმნა რამდენიმე დამოუკიდებელი სახელმწიფო.

გრიგოლ რობაქიძის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდში გამოქვეყნებული წერილებისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს ის გარემოება, რომ მწერალი ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივ მომავალს პირველ ყოვლისა ევროპასთან ურთიერთობის განმტკიცებას უკავშირებდა. მისი ეროვნულ-პოლიტიკური თვალთახედვის სწორედ ამგვარ გამოხატულებას წარმოადგენდა ის სიტყვა, რომლითაც მან 1920 წელს თბილისში სტუმრად მყოფ ევროპის სოციალისტური დელეგაციის წევრებს მიმართა ქართველ მწერალთა სახელით. ზემოთქმულისთვის მეტი სიცხადის მისაცემად დავიმოწმებ ფრაგმენტებს ხსენებული სიტყვიდან:

„ორი ათასი წელია... გელოდებოდით თქვენ: რჩეულ შვილებს დასავლეთისას.

ჩვენ ვცხოვრობდით მცირე აზიის გახურებულს შუაგულში და მზით მოთენთილნი ვგზნობდით ჩვენ მთვლემარე ღმერთებს გადარუჯულ ქვებში.

ჩვენში იყო ანთებული ხილვა აღმოსავლური.

მაგრამ ჩვენ ვერ გავუძელით აღმოსავლეთის დიდი შუადღის ავხორცობას და გამოვეშურეთ ჩრდილოეთისაკენ...

და: მოშვებულნი აღმოსავალს ჩვენ მივილტვოდით მუდამ დასავლისაკენ.

ჩვენ მუდამ გვქონდა ტრაგედია გეოგრაფიის...

აღმოსავლეთს მოვცილდით და ვერც დასავლეთს ვეზიარეთ.

მრავალი საუკუნე ვიტანჯეთ ჩვენ შუა გზაზე ყოფნით...

დღეს შევხვდით ჩვენ ერთმანეთს და ამიერითგან ამ შეხვედრით დაიწყება ახალი უღელტეხილი ქართული ისტორიის“.

გრ. რობაქიძის ეროვნული თვალთახედვის წარმოჩენის დროს რამდენიმე სიტყვა 1924 წელს ჟურნალ „კავკასიონში“ გამოქვეყნებულ მის წერილზეც – „ვლადიმერ ილიას-მე ულიანოვი-ლენინ“ მინდა ვთქვა. მიუხედავად იმისა, რომ ლენინის რევოლუციური იდეებიდან ბევრი რამ თავად მისთვის პრინციპულად მიუღებელი იყო, იგი ლენინს, როგორც ამ იდეების ხორცშესახმელად აქტიურად მებრძოლ პიროვნებას, მსოფლიოს გამოჩენილ ადამიანთა შორის გამორჩეულად დიდი ავტორიტეტის მქონე ბელადად მიიჩნევდა. მაგალითად: „ლენინს რომ არ დაეწერა არც ერთი სტრიქონი და დაეტოვებინა კაცობრიობისათვის მარტო რევოლუციური მოქმედება, მაინც ლენინი იქნებოდა: დიდი ისტორიული პიროვნება“.

როგორც უკვე აღინიშნა, ლენინის რევოლუციური ღვაწლი ამგვარი განმადიდებელი სიტყვებით გრ. რობაქიძემ 1924 წელს დაწერილ ზემოთ ნახსენებ წერილში იმ დროს შეაფასა, როცა სწორედ მისი რევოლუციური იდეების საფუძველზე შექმნილ და მისივე ხელმძღვანელობით მართულ განახლებულ რუსულ იმპერიას ჩვენი ქვეყანა ხელმეორედ ჰქონდა ოკუპირებული.

იმის დასტურად, ლენინისადმი გრ. რობაქიძის ხოტბით დამოკიდებულებას ფაქტობრივად ზღვარდაუდებლად დიდი მასშტაბები რომ ჰქონდა შექმნილი, დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტს ხსენებული პუბლიკაციიდან: „ლენინის ფენომენზე ტომები დაიწერება. საოცარია მასში: იდეალი ინტერნაციონალური და ბუნება ნაციონალური... ხშირად მას პეტრე დიდს ადარებენ. ამ შედარებაში მართალია ორივეს „რუსობა,“ მაგრამ გადაღახვით ლენინი ბევრად უფრო დიდია“ (რობაქიძე, 1996, გვ. 296).

ლენინის ღვაწლის ამგვარი მასშტაბებით წარმომჩენ ამ ფრაგმენტთან ერთად აქ ხსენებული პუბლიკაციის ის ეპიზოდიც მინდა დავიმოწმო, სადაც მწერალი ლენინს თავისუფლება დაკარგულ ხალხებს მათი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალების ხორცშემსხმელ ბელადად უსახავს და თავის ამ თვალსაზრისს ასეთი ხოტბითი სიტყვებით გამოხატავს: „ვისაც განუცდია, თუ რა არის: თავისუფლება – მონობის მოსპობა – ადამიანის ღირსების აღდგენა – ქვეყნის გადახალისება – ერთა

თვითდამყარება: მას არ შეუძლია არ ახსენოს სახელი ლენინის, განურჩევლად პარტიული დაყოფის და პროგრამებისა“.

გარდა ლენინისა, საბჭოთა პერიოდის პოლიტიკურ ლიდერთაგან გრ. რობაქიძის განსაკუთრებული ინტერესის საგანს სტალინის მოღვაწეობაც წარმოადგენდა და მის პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას ერთმნიშვნელოვნად ნეგატიურ შეფასებას აძლევდა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა მისი რომანი „ჩაკლულ სული.“ მწერლის შეფასებით, იგი ისეთ პოლიტიკურ ბელადს წარმოადგენდა, რომლის ცნობიერებაშიც „ლეგენდარული ჭარბად იყო, ოღონდ ქართული – მეჩხრად.“ აქედან გამომდინარე, „სტალინი იმდენად იყო ქართველი, რამდენადაც საპირისპირო პოლუსი ქართველობისა“.

მიუხედავად იმისა, რომ სტალინის პარტიულ-სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის შეფასების დროს გრიგოლ რობაქიძე განსაკუთრებულ ყურადღებას პირველ ყოვლისა მის რევოლუციურ წასულსა და საბჭოთა იმპერიის მისეული მმართველობითი პოლიტიკის კრიტიკული თვალთახედვით წარმოჩენაზე ამახვილებს, ამ კონტექსტში საქართველოსადმი სტალინის დამოკიდებულებასაც მიაპყრობს ყურადღებას და მისი მმართველობითი პოლიტიკის ამ მიმართულებას მკვეთრად ნეგატიურად აფასებს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობასთან დაკავშირებულ პრობლემათა გრიგოლ რობაქიძისეული განსჯა და შეფასება მხოლოდ განხილული ტექსტებით არ განისაზღვრება, ვფიქრობ, ჩემ მიერ გაანალიზებული მასალაც საკმარისია საიმისოდ, ნათელი წარმოადგენა რომ შეგვექმნეს ხსენებულ ურთიერთობასთან დაკავშირებით გამოხატულ მწერლისეულ თვალთახედვაზე.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

- ბაქრაძე, ა. (1999). *კარდუ ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი*, თბილისი.
- გაგნიძე, ნ. (2021). *ცხოვრება ორ სამყაროში. გრიგოლ რობაქიძე*, თბილისი.
- გამსახურდია, ვ. (1922). ჩვენი კულტურ-პოლიტიკა, „ლომისი“, 6, თბილისი.
- გოლლენდი, გ. (რობაქიძე გ.) (1937). „ბოლშევიკების აჯანყება“, გაზ. „საქართველო“, 237.
- გოლლენდი, გ. (რობაქიძე გ.) (1937). „ფანტასმების ქალაქი“, გაზ. „საქართველო“, 239.
- გოლლენდი, გ. (რობაქიძე გ.) (1937). „სოციალისტური იმპერიალისტები (ბოლშევიკები)“, გაზ. „საქართველო“, 273.
- რობაქიძე, გ. (1924). „ვლადიმერ ილიას-ძე ულიანოვი-ლენინ“, ჟურნ. „კავკასიონი“.
- რობაქიძე, გ. (1937). „რუსეთის ტრაგედია“, გაზ. „საქართველო“, 232, 233.
- რობაქიძე, გრ. (1991). *ჩაკლული სული*, თბილისი.
- რობაქიძე, გრ. (1996). *ჩემთვის სიმართლე ყველაფერია... კრებული*, შეადგინა რ. ლომინაშვილმა, თბილისი.
- რობაქიძე, გრ. (2012). I, *ნაწერები*, წიგნი IV, პუბლიცისტიკა, ეპისტოლარული მემკვიდრეობა, თბილისი.
- რობაქიძე, გრ. (2012ა). II, *პირადი მიმოწერა*. შეადგინა, წინასიტყვაობა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ეთერ ქავთარაძემ, თბილისი.
- რობაქიძე, გრ. (2012). *ნაწერები*, წიგნი III, პუბლიცისტიკა, თბილისი.
- რობაქიძე, გრ. (2012ბ). *ნაწერები*, წიგნი V, თბილისი.
- სალია, ვ. (1954). ინტერვიუ გრიგოლ რობაქიძესთან, ჟურნ. „ბედი ქართლისა“, 3, პარიზი.
- სიგუა, ს. (2011). მარტვილი და ალამდარი, ტომი მეორე, თბილისი.

### References:

- Bakradze, A. (1999). K'ardu anu grigol robakidzis tskhovreba da ghvats'li, [The Life and Work of Cardu or Grigol Robakidze]. Tbilisi.
- Gagnidze, N. (2021). Tskhovreba or samq'aroshi. Grigol Robakidze, [Life in Two Worlds. Grigol Robakidze]. Tbilisi.
- Gamsakhurdia, K'. (1922). Chveni k'ult'ur-p'olit'ik'a, [Our Culture and Politics]. „Lomisi,“ 6, Tbilisi.
- Gollend, G. (Robakidze G.) (1937). „Bolshevik'ebis ajanq'eba“, [“The Bolshevik Uprising”]. Gaz. „sakartvelo,“ 237.
- Gollend, G. (Robakidze G.) (1937). „Pant'asmebis kalaki,“ [“City of Ghosts”]. Gaz. „sakartvelo,“ 239.
- Gollend, G. (Robakidze G.) (1937). „Sotsialist'uri imp'erialist'ebi (bolshevik'ebi)“, [“Socialist Imperialists (Bolsheviks)”]. Gaz. „sakartvelo,“ 273.
- Robakidze, G. (1924). „Vladimer ilias-dze ulianovi-lenin“, [“Vladimir Ilias-dze Ulyanov-Lenin”]. Zhurn. „k'avk'asioni.“
- Robakidze, G. (1937). „Rusetis t'ragedia“, [“The Tragedy of Russia”]. Gaz. „sakartvelo,“ 232, 233.
- Robakidze, G. (1991). Chak'luli sul, [The Slain Soul]. Tbilisi.
- robakidze, gr. (1996). Chemtvis simartle q'velaperia... k'rebuli, sheadgina R. Lominashvilma, [For Me, Truth Is Everything... Collection, compiled by R. Lominashvili]. Tbilisi.
- Robakidze, G. (2012). I, Nats'erebi, ts'igni IV, p'ublitsist'ik'a, ep'ist'olaruli memk'vidreoba, [I, Writings, Book IV, Journalism, Epistolary Heritage]. Tbilisi.
- Robakidze, G. (2012a). II, P'iradi mimots'era. sheadgina, ts'inasit'q'vaoba, k'oment'arebi da sadzieblebi daurto Eter Kavtaradzem, [II, Personal Correspondence. Compiled, with preface, comments and search terms added by Eter Kavtaradze]. Tbilisi.
- Robakidze, G. (2012). Nats'erebi, ts'igni III, p'ublitsist'ik'a, [Writings, Book III, Journalism]. Tbilisi.
- Robakidze, G. (2012b). Nats'erebi, ts'igni V, [Writings, Book V]. Tbilisi.
- Salia, K'. (1954). Int'erviu Grigol Robakidzestan, [Interview with Grigol Robakidze]. Zhurn. “bedi kartlisa,” 13, P'arizi
- Sigua, S. (2011). Mart'vili da alamdari, t'omi meore, [Martvili and Alamdar, Volume Two]. Tbilisi.